



პრსენალი

საქართველო
ინფორმაცია

№ 15 (110). 23 ივლისი - 5 აგვისტო, 2010 წ. სახელმძღვანელო-ინფორმაციო ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

**რას წარმოადგენს
ირაკანდოის
რესპუბლიკური
არმია**

**მანდატური -
ვალდებულებები
და უფლებები**

1425
2010



**ახალი
ჯავახანმოცილი
გერმანულაბისგან**



**მსოფლიოს
უკველესი
საეცრაზი...**



**ფრანგული
ფრეგატი
გათუფი**




**ბანკები
აუსაზეთის
ოვები**

15



**ფრანგული
ურეგაგი
ბათუბი**

26



**უბაღღანი
სარისის
ნიუანი**

20

**ქვებენიღან
ბასროლიღი
„პიროსიბა“**

17



**ბიღა ბასღუ?..
ბენღაბური!**

10



**ბსოფლიოს
უბაღღანი
საბსრაბეღაბი**

48



სარკევი

კალიფორნია

4 ახალი ამბები

სინაუა

10 გინდა გახდე?.. მანდატური!

სამსახურსაშუაობი

12 საქართველოს საგარეო დახვეწვა - მითი და რეალობა

ჯანმრთელობა

15 ტანკები აფხაზეთის ომში

ბირთვული იარაღი

17 ქვემეხიდან გასროლილი „ჰიროსიმა“

ბრანდი სამხედრო სამსახურში

20 უმაღლესი ხარისხის ნიშანი

ვიზიტი

26 ფრანგული ფრეგატა ბათუმში

ვინ ვინ არის?..

32 ირლანდიის რესპუბლიკური არმია - თავისუფლების მოყვარული ჰარტიზანთა მემკვიდრე ტერორისტები

რეალური მონივრება

36 საფრთხე ჯავახისის ქედის მეორე მხრიდან

რამიონი

38 ჯავახიური მოვლენების მიმოხილვა...

ბანკმშენებელი ქვეყნები

40 იუგოსლავური ტანკები - გზა მარტივიდან რთულამდე

ხელშეწყობი ლეგენდები

48 მსოფლიოს უძველესი სპეცრაზმელები

„არსენალის“ იარაღის მალაზია

54 ორიგინალური ჰისტორიები 30-ვაზნიანი მჭიდით

რედაქციის სვეტი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განაახლა კადეტების მოზადება, რომელიც ხუთი წლის წინ ამავე სამინისტროს ყოფილმა ხელმძღვანელობამ დაუსაბუთებლად შეწყვიტა, რითაც ქართულ არმიას ქვეყნის დაცვის მსურველი ახალგაზრდების მთელი თაობა დააკარგინა.

კადეტთა სამხედრო ლიკეუმში განაცხადი შეიტანა 1574 მოსწავლემ, რომელთაგან მხოლოდ 300 კადეტი ჩაირიცხება. ასეთი მაღალი კონკურსი კი იმის მიმანიშნებელია, რომ მეზობელი სული საქართველოს ახალგაზრდებში, საბედნიეროდ, არ ქრება, რაშიც მიგვიჩინა, რომ ჩვენს „არსენალს“ მიუძღვის სულ პატარა წვლილი.

ირაკლი ალდაშვილი
ბირთვი შორეულიანი

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ ჯვინაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუეთხზავდ
მასალების გადაბეჭდვა
აქრძალულია

გადაცემულია დსაბეჭდად
18.07.2009

გაზეთ „ჯვინის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებოძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
სარედაქციო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenal@kvispalitra.com
ქრნალი გამოდის
ორ ჯვინაში ერთხელ
პარასკევს
მელია პალიტრის ცხელი ხაზი:
383-384

27398

კომპანია Mercedes-Benz-მა დაგეგმულია საპატრულო მსუბუქი ავტომობილის LAPV 6.X-ის პროტოტიპი წარმოადგინა. ავტომობილი G-კლასის ვეღვანძელის ბაზაზეა აწეობლი და სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენება. სწორედ LAPV 6.X გახდება LAPV-ის შუშეცვლილი, რომელიც წარმოდგენილია დღეს გერმანული არმიის ავტომობილი.



როგორც მისი წინამორბედი, კონცეპტ-კარი LAPV 6.X ვეღვანძელის Class-ის პლატფორმაზეა აგებული და აღჭურვილია დიზელის სამლიტრიანი 224 ცხვისსადიანი V6 ძრავით. მისი მუშეობით ავტომობილი 150 კმ/სთ-მამანაც კი ავითარებს, როცა 1,3 ტონი არის დატვირთული.

შწარმოებულთა ინფორმაციით, ახალი კონცეპტ-კარის აღმასვლის და დაღმასვლის კუთხეები, შესაბამისად 50 და 45 გრადუსს შეადგენს. LAPV 6.X-ს აქვს კომპრესორი, რომელიც სავადასხვა საგზაო სიტუაციებში გათვალისწინებით საბურავებში წნევის ცვლილების საშუალებას იძლევა. სამხედრო ავტომობილის მთავარ სიახლე ჯავშნის დახვეწილი სქემა, რომლის საშუალებით ჯავშნის დაზიანებული ფურცლის ახლით შეცვლა სწრაფად შესაძლებელია. და კიდევ ახალ სამხედრო ავტომობილზე დამონტაჟებულია ვერობის აეროკოსმოსურ და თვდაცვის კონცერნის სანავიგაციო სისტემები.

სამოქალაქო ვარიანტის სახით სამხედრო ავტომობილის სერიული წარმოება არ მოხდება, თუმცა მასში გამოყენებული უსაფრთხოების გარკვეულ სისტემები შესაძლოა მომავალში მოელვებზე S600 Pullman-სა და E-Class Guard-ზე ვიხილოთ.

სამოქალაქო ვარიანტის სახით სამხედრო ავტომობილის სერიული წარმოება არ მოხდება, თუმცა მასში გამოყენებული უსაფრთხოების გარკვეულ სისტემები შესაძლოა მომავალში მოელვებზე S600 Pullman-სა და E-Class Guard-ზე ვიხილოთ.



ნიკაპა-ხელუშგარა

თუდაცვის სისტემების ინდურმა კვლევიით ორგანიზაციამ უცნაური ხელუშგარების წარმოება გააღწევიტა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ხელუშგარა დაფუქული წინაკითაა „დატენილი“.

წინაკის ვიში **Bhut Jolokia**, რომელიც ჩილიზე 1000-ჯერ უფრო ცხარეა, ადამიანს სიცოცხლეს უმწარებს — ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით ამ წინაკის თვალთ უხილაფი ნაწილაკის ტუჩებზე, სასუნთქ ან მხედველობის ორგანოებზე მოხვედრა იწვევს წუას, ხელას, ცრემლდენას და რაც ინდოელი სამართალდამცველებისთვისაა ვეღვანე მთავარი, მომდენო საპროტესტო აქციებზე არწასვლის სურვილს.



შესაბამისად, წინაკა-ხელუშგარის სახით პოლიცია ქუჩის აქციებისა და უწყის რიგობის აღსაკვეთად ეფექტურ იარაღს მიიღებს.



დავრეანი ბერიას გვძლიის ვინაობა გახსნა




საბჭოთა არმიის პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სარდალმა, მარშალმა პაველ ბატიცკიმ 1953 წელს პირადად აღასრულა ლაერენტო ბერეას სასიკვდილო განაჩენი.

1953 წლის ფენისში ლაერენტო ბერეა დიდი ბრიტანეთის ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. იმავე წლის 23 დეკემბერს სასამართლომ ის სამშობლოს ლაღატში, ჯაშუშობასა და უღანაშუალო ადამიანების მკვლელობაში დაშინავედ ცნო და სასჯელის უმაღლესი ზომა — დახრეტა მიუსაჯა. განაჩენი იმავე დღეს აღესრულა.

პაველ ბატიცკი 1910 წელს ხარკოვში დაიბადა. ის მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, 60-იან წლებში კი საბჭოთა კავშირის პაერსაწინააღმდეგო სისტემას ზედმდგანელობდა. ბატიცკი 1984 წელს გარდაიცვალა.

კალენდრს პარაშუტით სტოვა მოსრონო




ნორვეგიაში გამართულ NATO-ს სამხედრო სწავლებებში მონაწილეობა ძაღლებსაც მიიღეს, რომლებმაც 3 კმ სიმაღლიდან პარაშუტისტებთან ერთად ფრენის გამოცდილება შეიძინეს.

„ძაღლები სიმაღლის სიღრმეს ვერ აღიქვამენ და ეს არ აღეულებოთ მათ უფრო ძრავას ხმა აფრთხობს, აი, გადმოხტომის შემდეგ კი მშვიდად არიან და ტკბებიან ზეგებით“, — ამტკიცებს ითხეება სამხედროების მწერთნელი.

პარაშუტისტ-ძაღლები პირველად ამერიკელმა სამხედროებმა გაწერინეს. მათ ცხოველებს გადმოხტომის დროს

ფანგბადის აირწინაღიდან სუნთქვაც კი ასწავლეს. მოგვიანებით ამერიკელთა გამოცდილება ბრიტანეთის სპეციალურმა საუიაციო სამსახურმაც გაიზიარა და ამჟამად პარაშუტით ხტომაში გაწერინილ ძაღლებს ერავსა და ავღანეთში იყენებს.

2008 წელს ერაყში სამხედრო ოპერაციის დროს ორი პარაშუტისტი-ძაღლი, ტორა და სკოტი ბალადში, „ალექიდას“ ქსელზე ბრიტანელთა იერიშისას დაიღუპა. მათ ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი ჰერეფორდში, SAS-ის შტაბბინაშია განთავსებული.



პანტაფონი მფრინავი „ავადანავაჰლს“ კონსტრუქციას განიხილავს

ტენასურმა კომპანია AVX-მა პენტაგონის პრესპექტიულ პროექტთა კვლევების სამმართველოს მფრინავი ყველგანმავალი წარუდგინა. პროექტი წარმოადგენს ავტომატილს ორი დასაკეცი ბრანჩი აქვს და მას გადაადგილებაში ადგილმდებარეობის ვერტიკალი რელიეფი ხელს ვერ უშლის.

ამ ყველგანმავალს 471 კგ ტვირთის ზიდვა 463 კმ-ზე შეუძლია. ხმელეთზე მისი გადაადგილების სიჩქარე 130 კმ/სთ-ია, შევულოფრენის რეჟიმში კი ის 225 კმ/სთ სიჩქარით მიფრინავს. აღსანიშნავია, რომ აპარატს ხმელეთზე მოძრაობის რეჟიმიდან ფრენის რეჟიმზე გადასასვლელად ზუსტად 60




წამი სჭირდება. მთავარი ბრანჩის გარდა ავტომატილს უკანა ნაწილში ორი ვენტორატორია აქვს, რომლებიც პორიზონტალური ფრენის რეჟიმში აჩქარებას განაპირობებენ. მათი მოძრაობა ქვემოთკენაც შეიძლება, რათა აფრენის დროს დაბატებითი ამწევი ძალა გამოიმუშაოს.

ლური ფრენის რეჟიმში აჩქარებას განაპირობებენ. მათი მოძრაობა ქვემოთკენაც შეიძლება, რათა აფრენის დროს დაბატებითი ამწევი ძალა გამოიმუშაოს.

თალიბებმა აშერიკალებთან საბრძოლველად მამონების სავსერაფი უაქმნას

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ავღანელი თალიბები აშერიკელებთან საბრძოლველად მამონებისგან შემდგარ სპეცრაზმს ამზადებენ. თორმე პრიმატებს ავტომატებით AK-47-ით, ტყვიამფრეკვევებით „ბრენია“ და ყუმბარატორცნებით აიარალებენ. ბრიტანელმა კორუსონდენტებმა მამონი-ტერორისტების ფოტოკამერაზე დაფიქსირებაც შეძლეს.



ნენ. მამონი აშერიკელები მამონთა „წერთისა და აღჭურვის პროგრამას“ ბანანისა და არაქისის მეშვეობით ახორციელებდნენ. სამხედროები პრიმატებს ჯუნგლებში შედევსა და სამალაგში მყოფ ვიეტნამელთა განადგურებას აწვევდნენ. ამჟამად თალიბები მამონებს არა

მარტო „კალაშნიკოვის“ მოხმარებას ასწავლიან, არამედ ინტელექტუალურადაც წერთინან. თორმე მეტროლი-მაიმუნები ამერიკულ სამხედროთა ფორმას ცნობენ და თავს მხოლოდ მათ ესხმიან. ცნობილია, რომ მამონების სპეცრაზმი მაკაკებისა და ბაბუნებისგან შედგება.

კრემლს ჩინური იარაღის ეზონია...


ახლანან ევკეიტკის შეიარაღების ბაზარზე ჩინეთთან დაჯახების შემდეგ კრემლმა „ჩინელი ექსპორტიორების წარმატების ფენომენზე“ ექსპერტული კვლევის ჩატარება შეუკვეთა. რუსი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სულ მალე ჩინეთი თავისი იაფი პროდუქციით რუსეთს შეიარაღების მნიშვნელოვანი ბაზრებიდან გამოაძეებს.

კრემლმა უკვე გამოაცხადა ტენდერი მეცნიერულ-კვლევით სამუშაო თემაზე „შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ჩინელ ექსპორტიორთა სტრატეგიისა და ტაქტიკის თავისებურებანი: წარმატების ფენომენი და ძირითადი კონკურენტული უპირატესობა“ და მასში 200 ათასი რუბლის გადახდის პირობას იძლევა.

როგორც ექსპერტები აცხადებენ, ეს უკვე მეორე სიგნალია იმისა, რომ მოსკოვი პეკინს შეიარაღების ბაზარზე რეალურ კონკურენტად აღიქვამს.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ჩინეთი რუსული სამხედრო შეიარაღების ასლს აკეთებს და შემდეგ იაფად ყიდის ღარიბ აფრიკულ სახელმწიფოებში. აღსანიშნავია, რომ ჩინეთს რუსეთის დარად საერთაშორისო იმიჯი არ ენაღვლევა და იარაღს კონფლიქტის ზონებშიც თავისუფლად ყიდის. ექსპერტები იმასაც შიშობენ, რომ მას შემდეგ, რაც გაეროს სანქციების გამო რუსეთმა ბრანს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის C-300-ის მიყიდვაზე უარი განაცხადა, მის ანალოგს თერანოს ჩინეთი შესთავაზებს.

ექსპერტებს ეჭვი შეაქვთ მოსკოვის მიერ დაკეოთილი კვლევის ეფექტურობაში, რამდენადაც ჩინეთმა რუსული სამხედრო ტექნოლოგიები უკვე გადაიღო და თავად აპირებს მათი, როგორც საკუთრის, გაყიდვას. მათივე თქმით, წინააღმდეგობის გაწევს რუსეთი თუნდაც პოლიტიკური მიზეზების გამო არ ეცდება.



ბრიტანული კომპანია **BAE systems**-ის მეცნიერებმა მიაკვლიეს ნეთიერებას, რომლის მეშვეობით, ამჟამინდელიან შედარებით ბევრად უფრო ეფექტური ჯავშანწილეთის შექმნა შესაძლებელია.

მეცნიერებმა საიდუმლო ქიმიური ფორმულით მიღებული ბლანტი ნეთიერებისა და არამთელულ მოჭკვარანი მასალის გამოყენებით ჯავშანწილეთი შექმნეს. ზემოქმედებისას ბლანტი ნეთიერება მყარდება და ტყვიას მოძრაო-

„თხევალკავშიანი“ ვიღებავი უფრო სიოელო და მსუბუქია

ბის გაგრძელების საშუალებას არ აძლევს. რაც ვეულაზე საეულისზოთა, აღნიშნულ ნეთიერებაზე რაც უფრო ძლიერია ზემოქმედების ძალა, მით უფრო მეტია მისი წინააღმდეგობის უნარი.

თავის მხრე, „თხევალ ჯავშანზე“ ამერიკული სპეციალისტებიც აქტიურად მუშაობენ. ნანოტექნოლოგიებზე ორი-

ენტირებულმა კომპანია **Armor Holdings**-მა ცოტა ხნის წინ განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმად, ახალი თაობის ჯავშანწილეთებში გამყარების უნარის მქონე თხევადი ელემენტების გამოყენება ვიღეტს გაცვლილებით უსაფრთხოს, მსუბუქსა და კომფორტულს გახდის.

ჩვენი უკომუნისტაროდ


ფოტორეპორტაჟი პლანეტის ცხელი წერტილებიდან

ნაწილი I

21-ე საუკუნის მსოფლიო რუკაზე 33 მტ-ნაკლებად ცხელ წერტილს ითვლიან. ომი მძინვარებს მთელი თავისი სისასტიკით, სხვადასხვა ტყვეების სააგენტოების საუკეთესო ფოტოკორესპონდენტები კი თავიანთ საქმეს ბრძოლის ველზე ჩვეული სიმშვიდით, პროფესიონალურად ასრულებენ, რათა ცეცხლის, სისხლის ღვინის, ცრემლისა და ტყვიის ჩვენთვის გამოცემა და გაზიარება, მთელი თავისი სიხადით შექმნონ.



ერაყი.
3/03/2001




ერაყი
13/12/2003



ნიგერია.
30/01/2010



ფილიპინები.
17/10/2006



ლაზი.
5/01/2009

საქართველო.
8/08/2008



აშშ.
5/01/2008



მაკიტანი.
1/02/2010



ბირმა.
31/01/2006

გინდა გახდა?..

მანდატური!

ვალდებულებები, უფლებები, საშუალებები და პასუხისმგებლობა..

არასრულწლოვანთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა, სკოლის შინაგანანუხის დაცვა, ახალგაზრდების სპორტითა და ჯანსაღი ცხოვრების წესით დაინტერესება, მათთვის მაგალითის მიცემა ის მოვალეობებია, რომლებიც მანდატურებს ეკისრება. ამ რთული მისიის შესრულების მსურველთა მომზადებაზე პასუხისმგებლობას პოლიციის აკადემია იღებს. თუ როგორ ითვისებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს მანდატურები და რატომ გახდა საჭიროთელში ამ ინსტრუქტის ჩამოყალიბება აუცილებელი, ამის შესახებ პოლიციის აკადემიის რექტორი ხატია დეპანოძე გვსაუბრება:



— მანდატურის ინსტიტუტის შექმნა განათლების და მეცნიერების მინისტრ დემიტრი შაშინის ინიციატივა იყო. მათვე სურველია და თხოვნით პროექტის მომზადებაზე ერთად დავუწყეთ მუშაობა. მე, როგორც ამ პროექტის ერთ-ერთი ავტორი, ვფიქრობ, მანდატურის სამსახურის შექმნა ძალზე მნიშვნელოვანია, იმისთვის, რომ სკოლაში უსაფრთხოება დამყარდეს. მართალია, ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში დანაშაულის პრიცენტულმა მასშტაბებმა იცლია, მაგრამ არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ფაქტებსა იმატა. სწორედ ეს სამსახური რეალურადაა გახდა იმის ძეგეხი, რომ სამინისტრომ მანდატურის სამსახურის შექმნა გადაწყვიტა. თუკადარეკლად შეყარეთ 22 კაცი, რომლებიც მოემზადებიან როგორც თეორიულად, ასევე ფიზიკურად, გაავანაწილოთ თბილისის 7 სხვადასხვა საჯარო სკოლაში და ძალიან კარგი შედეგიც მივიღებთ. ვიდრე ჩვენ მანდატურებს მოემზადებდით, მე და დემიტრი შაშინი პირადად შეხვედით სკოლის დირექტორებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მათ შობლებს და მათთან საუბრის საფუძველზე განვსზღვრეთ, თუ როგორი სალექცია კურსი უნდა ჩაგვეტარებინა მომავალი მანდატურებისთვის. საპილოტო პრო-

გრამამ გაამართლა, დავრწმუნდით, რომ ბავშვების უსაფრთხოებისთვის ამ ინსტიტუტის არსებობა პაუჩეთი აუცილებელია.

რა უფლება-მოვალეობები არის აღტურვილი მანდატური?

— მანდატურის უმთავრესი მოვალეობა სკოლის შინაგანაწესის დაცვაა. ახალი არაფერი მოგვიგონებია, უბრალოდ მომავალ მანდატურებს აუხსენით, თუ როდის, როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, მოსწავლერი, რომ არ შეიძლება ბავშვებზე მასწავლებლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა. მანდატურებმა იციან, რა სახის ადმინისტრაციული საწქეციები შეიძლება დაეკისროს 12, 14, 16 წლის შობარდს, თუ ის ცოცხლად ატარებს. სკოლაში წესრიგის დაცვის გარდა, მანდატურების მოვალეობაა დამრიგებლური ღონისძიებების ჩატარება, მათ ბავშვები კანონმორჩილებმა უნდა მიანვიონ. ბერი მეკითხება, მასწავლებელმა რადა უნდა აკეთოს? მასწავლებელს უამარბო სხვა ფუნქცია აქვს, ბავშვების კანონმორჩილ ადამიანებად ჩამოყალიბება და მათი უსაფრთხოება ძალიან მნიშვნელოვანია, ამაზე პროფე-

სონალები უნდა ზრუნუდნენ. ამერიკის იმ სკოლებში, რომლებიც როულ კრიმინოლოგიულ უბნებშია განთავსებული, ბავშვებთან პოლიციელები მუშაობენ. სხვათა შორის, ხშირად მასწავლებლები თავად უწყობდნენ ხელს დანაშაულის დაფარვას.

რა მოტივით?

— ალბათ, იმ მოტივით, რომ ჰკონიათ, თუ ბავშვი დაისჯება, ის ფსიქოლოგიურ ტრავმას მიიღებს. ეს არასწორი დამოკიდებულებაა. ყველა ბავშვმა უნდა იცოდეს, რა შედეგს მოიტანს დანაშაულის ჩადენა.

ე. ი. მანდატური მონსაფლეთთან ერთად მანსაფლეთელსაფგაკონტროლებს?

— მანდატური პასუხისმგებელია ყველას ძალადობრივ ქცევაზე, სულერთია, ვინ იქნება, მასწავლებელი თუ მოსწავლე. ის ვალდებულია დაიცავს სკოლის შინაგანაწესი, რომელსაც, სხვათა შორის, მხოლოდ მოსწავლე კი არა, ზოგჯერ მასწავლებელიც არღვევს. ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი ბავშვს თავში წამოარტყამს ან საკლასო ოთახიდან დერეფანში გამოავლებს. სკოლის შინაგანაწესი მარტო

ფიზიკურ ზეწოლას კი არა, ბავშვის გაკეთილდამანათლებლობას და მის უმთავრესად (თუნდაც დერეფანში) დატოვებასაც კრძალავს.

— ასეთ შემთხვევაში მანდატური რა ღონისძიებებს მიმართავს?

— სკოლის დირექტორს აცხადებენ, შემდეგ კი განათლების სამინისტროს.

— როგორც ამბობენ, სკოლის ექონლის ფუნქციებსაც მანდატურები იკისრებენ?

— დიახ, ასეა. ჩვენს მანდატურებს სამედიცინო პერსონალით ერთად საფუძვლიანი ტრენინგი ჩაუტარეთ. ყველა მანდატურს ეცოდინება, როგორ აღმოაჩინოს დაზარალებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. დაახლოებით 6-7 წლის წინ, ჩემი შვილი დაეცა და იმის გამო, რომ ჭრილობა ვერაფერ დაუმუშავა, ნაიარყვი დარჩა. ბავშვები მეექვსე, მეშვიდე კლასამდე ძალიან მოძრავები არიან, მათ განსაკუთრებული ყურადღება და საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარების სწრაფი აღმოჩენა სჭირდებათ. შშობლებს უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ მათი შვილები სკოლაში ყოველმხრივ დაცულნი არიან.

— მანდატურები გაცვეთილებსაც დაეწინებინათ?

— არა, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში (თუ კლასიდან ხმაური გამოდის) შეიხადვას და სიტუაციას გაარკვევს.

— პროფესიული მოვალეობის აღსრულების დროს რა იარაღით



მანდატურთა ასაკი განათლების სამინისტრომ განსაზღვრა — ოციდან ორმოცდახუთ წლამდე.

იქნებინა აღჭურვილი?

— ეს ჯერ არ არის გადაწყვეტილი. არსებული განაწესის მიხედვით ისინი აღჭურვილი არიან მხოლოდ ხელის დეტექტორით, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ დაადგინონ, რა სახის ლითონ უდევს მოსწავლეს ჯიბეში ან ჩანთაში.

— ჩხრეკის უფლება არა აქვთ?

— ჯერჯერობით, არა. შეიძლება მოგვიანებით ამის უფლება მიენიჭოს.

— თუ მანდატურს ინფორმაცია აქვს, რომ მოსწავლეს ცივი იარაღი აქვს და ეს ხელის დეტექტორითაც დაადგინა, როგორ უნდა მოიქცეს?

— პოლიციელს უნდა შეატყობინოს. მათ ჯერჯერობით ასევე არა აქვთ ხელკეტის გამოყენების უფლება, არადა,

ჩემი აზრით, ეს აუცილებელია, რადგან მანდატური თავადაც დაცული უნდა იყოს. ყველამ იცის, რომ სკოლის მოსწავლეებს შორის ხშირია საქმის ჯგუფური გარჩევა. ასეთ დროს მანდატურმა პოლიცია უნდა გამოიძახოს, მაგრამ ხომ შეიძლება ამან მოსწავლეებს გააღიზიანოს და თვის დაეხმან? მეთერთმეტე ან მეორემეტეტეკლასელი არც ისეთი სუსტია, რომ მისგან თავის დაცვა მაშეკლი ხელებით შეძლოს.

— თიფად მანდატურს თუ გააკონტროლებს ვინმე?

— აუცილებლად, მათ ყველაზე კონტროლირებული, რომელიც მათ გადაცდომაზე პასუხს აგებს.

— თიფად მანდატურს მისაღებ გამოცდაზე ამ პროფესიის დაუფლების მართულის ფსიქოლოგური მდგომარეობა თუ მონიშნება?

— ჩვენ ყველა მათგანს ვუტარებთ ფსიქოლოგიურ ტესტებს და ვადგენთ მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, წერეული სისტემის მდგომარეობას, იმასაც კი განსაზღვრავთ, თუ რამდენად აღეკატური იქნებათ კონფლიქტურ სიტუაციებში. მომავალ მანდატურებს ლექციებსაც კი ვუკითხავთ ფსიქოლოგიაში.

— მისაღებ გამოცდებს დამოუკიდებლად ატარებთ თუ განათლების სამინისტროსთან ერთად?

— სამინისტროსთან ერთად. მსურველმა განცხადება სამინისტროში უნდა შეიტანოს. შემდეგ ორ ეტაპად დაელოფე გამოცდას პოლიციის აკადემია ჩაიბარებს. პირველ რიგში ტარდება ტესტირება ზოგად უნარ-ჩვევებში. საჭირო ქულების დაგროვების შემთხვევაში ჩაუტარებთ გასაზრებებს, რომლის დროსაც ვაკვირდებით, როგორია

მანდატურებს ჯერჯერობით არა აქვთ ხელკეტის გამოყენების უფლება, არადა, მანდატური თავადაც დაცული უნდა იყოს... მეთერთმეტე ან მეორემეტეტეკლასელი არც ისეთი სუსტია, რომ მისგან თავის დაცვა შიშველი ხელებით შეძლოს...



საპარტიო სმაკარო დაზვერა მიოი ახ ხეობა

მისი მოტყეაცია, რამდენად შეუძლია ბავშვებთან ურთიერთობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანს სამ კვირაში ევკლადურს ვერ ასწავლი, უნარ-ჩვევები და ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდლება თავდაც უნდა ჰქონდეს.

ფორკორ მონაცემებს ამცავა ყურადღება?

— მანდატურობის მსურველს იმ ელემენტარული ნორმატივების ჩაბარება უნდა შეეძლოს, რომელსაც პოლიციის აკადემიის შინაგანაწესი ითვალისწინებს. მანდატური მისაბამი და ანგარიშგასაწევი პირი უნდა იყოს. მისი პირდაპირი ვალდებულება იქნება ბავშვებთან ერთად სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, მათთან ერთად ფეხბურთის თამაში. მანდატური მოიბიძგებული უნდა იყოს როგორც ფსიქოლოგიურად და მორალურად, ასევე ფიზიკურად.

მანდატურად გახდომის მსურველთა ასაკი განსაზღვრულია?

— დიას, ასაკი განიაღვრების საშინისტრომ განსაზღვრა, — ოციდან, ორმოცდახუთ წლამდე.

მსურველების რაოდენობა დიდია?

— იმაზე მეტს, ვიდრე ექვლოდით ერთ ადგილზე 15-20 პირი მოიხდის.

მათ შორის ქალებიც არიან?

— დიას. საუარაუდიდ, თითო სკოლაში სამი მანდატური, აქედან ორი მამაკაცი იქნება, ერთიც — ქალი.

პოლიციის აკადემიის სხვა კურსდამთავრებულების მსგავსად, მანდატურებსაც მოუწევთ წელიწადში რამდენჯერმე გადამზადება?

— ამ საკითხზე მე და დომიტროს შამკინმა უკვე ვისაუბრეთ და გადარეკვით, მანდატურები ყოველწლიურად გადავაზამდით. ეს პროფესიული ზრდისთვის აუცილებელი პირობაა.

როგორც ცნობილია, მანდატურები მხოლოდ თბილისისა და ბათუმის სკოლებში იმუშავენ, სხვა ქალაქების სკოლებში ამის საჭიროება არ არის?

— როგორ არა, განათლების საშინისტრომ გადაწყვეტილი აქვს, მანდატურები ყველა საჯარო სკოლაში განათავსოს. უპირველესად ეს დიდა ქალაქების სკოლებში. თბილისისა და ბათუმის შემდეგ დღის წესრიგში ქუთაისი დგას. ვფიქრობ, ამ წლის დეკემბრისთვის მნიშვნელოვანი გაიზრდება ამ სკოლების რიცხვი, სადაც მანდატურები იმუშავენ.

ხათუნა პახტურაძე

(გაგრძელება)

ჩერვონეცები საბჭოთა იმპერიის დასანგრევად

ერთ-ერთი სკანდალური და დღემდე საიდუმლოებით მოცული საქმე, რომელშიც ქართველი ემიგრანტები, საბჭოთა დაზვერა, გერმანიის, საფრანგეთისა და დიდა ბრიტანეთის სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ, ე.წ. ვალბი ჩერვონეცების საქმე იყო. საბჭოთა სპეცსამსახურებმა ეს კრიმინალური ფაქტი, რომელსაც ეკონომიკური ომის ერთ-ერთი ოპერაციის სახე ჰქონდა, პროპაგანდისტული მანიით გამოიყენეს და ქართველი პოლიტიკური ემიგრაციის ღვიძრების (უპირველესად სირიის კლასის და ქაქუცა ჩილუაშვილის) კომპრომეტირება მოახდინეს. ეს შემუშვარა ფინანსური დღერისა ევკლადური იარაღი აღმოჩნდა ბოლშევიკებისთვის.

რუსი ისტორიკოსი ოლეგ მახოხინი, რომელსაც შეუფერხებლად მოუწვდებოდა ხელე რუსეთის სპეცსამსახურების არქივებთან, ვერკა-ოპეუს შესახებ დაწერილ წიგნში კვლავ საბჭოთა შტაბებს იყენებს და ისტორიულ ფაქტებს კვლავ კომუნისტური თვალთვებით აშუქებს. მახოხინი გამიანკლის სულაც არ არის, დღემდე დივი რუსი ისტორიკოსები და პუბლიცისტები (რომ არაფერი უკეთია საბჭოთა სპეცსამსახურების პროპაგანდებზე) ისევ და ისევ ძველი პერსპექტივით და ღვიზნოფიციული დოკუმენტების ანალიზს ეფრინებიან, დასკვნებსაც კავებას სტილში დაკრებულ და „ერთსულელებს გმობენ გერმანულ-ქართულ კრიმინალურ ბანდას“.

ისიც უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში ამ თემზე გამოქვეყნებულ მასალებშიც უხვად იგრძნობა „საბჭოთა სტილი“ და დღესდღეობაც იმგვარი კოდება, როგორც ვადასანსებელ გზით „არავის“ სტატეტიმ გვხვდებოდა: „ვალბი ჩერვონეცების საქმე იყო სახიზარი იმპერიალისტების ეკონომიკური დღერისა ახალგაზრდა საბჭოთა კომუნის წინააღმდეგ“. ზოგიერთი პუბლიცისტი საბჭოთა ჩეკისტების სოფნაზღესა და „ოპერატიულ ოსტატობასაც კი უქებს“.

იმის გადაწყვეტა, თუ რამდენად სანდოა მხოლოდ რუსეთ-საბჭოთა არქივებსა და პუბლიცისტებზე დაყრდნობა, მკითხველისთვის მივცინდებია. ერთი კი

უნდა ითქვას: საბჭოთა და რუსეთის სპეცსამსახურების არქივები კვლავ დახურულია, ხოლო ის საიდუმლო დოკუმენტები, რაც ხანდახან ვითომდა შემოსევით ნახავს დღის სინათლეს, განსაკუთრებულ ყურადღებასა და სხვადასხვა სანდო წყაროთი გადამოწმებას საჭიროებს.

ვერ საბჭოთა სპეცსამსახურების იმ ოფიციალურ კურსისა გვეყენოს, რომელსაც დღესაც ვაუტად იმეორებს რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია: ბოროტმოქმედები თუ პატრიოტები?

1925 წლის გაზაფხული იდგა, როდესაც საბჭოთა საგარეო დაზვერვის ბერლინისა და პარიზის რეზიდენტურებიდან თითქმის ერთდროულად ორი შიფრდებე ში გაიხვარა ცენტრში. მათი მხარარსც თითქმის იდენტური იყო. რეზიდენტები აგენტურულ ცნობებზე დაყრდნობით იტყობინებოდნენ, რომ რუსი ემიგრანტი-მონარქისტები (გარეთ ორლო-დავიდოვი, გენერალი ლამპე და გენერალი ბერმინტ-აულოვი), გერმანელი გენერალ მაქს პოფმანის მხარდაჭერით ორგანიზაციულ-ტექნიკურ სამზადისს ქვეყნიან ვალბი საბჭოთა ბანქონების (ე.წ. ჩერვონეცების) დასაბჭვად.

შემოთხამოთვლილი პირობიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ქართული წარმომავლის თაყი, ვერერალ პავლე რაფაილის ძე ბერმინტ-აულოვიმდია (დაიბადა ტიფლისში 1877 წელს, გარდაიცვალა ნიუ-იორკში 60-იანი წლების ბოლოს). გენერალ-მაიორი ბერმინტ-აულოვიმდია ახალგაზრდა ჩაირიცხა რუსეთის იმპერიის ჯარში, მონაწილეობდა რუსეთ-აპონიისა და პირველ მსოფლიო ომებში. რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ აქტიურად იბრძოდა წითელი არმიის შემადგენელი 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში გერმანიაში, ხოლო 1936 წლიდან საბოლოოდ დასახლდა აშშ-ში.

ამ მცირე ჩანარის შემდეგ კვლავ ვალბი ჩერვონეცების დაბჭვდვის ისტორიას დავუბრუნდით.

20-იანი წლების მცირე ნახევარში ერთი ჩერვონეცი 10 რუბლის ევკვალენტ იყო, რომლის მეთოხედ (25%) ოქროთი იყო გამყარებული. იმ პერიოდისათვის



სიორიდორ კელია



გენერალი ბერმონტ-ავალოვი



ქაკუცა ჩოლოყაშვილი

ჩეროვნიცი ვეროპაში ერთ-ერთ სასურველ ვალუტად ითვლებოდა, მით უფრო — გერმანიისთვის, რომელსაც მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი ჰქონდა საბჭოთა კავშირთან.

რუსეთ-საბჭოთა სექსამსახურების მტკიცებით, ვალბი ჩეროვნიკების დაბეჭდვის მიზანი საბჭოთა კავშირის ფულად-საკრედიტო სისტემის დაუსუსტება და საბჭოთა კავშირის შიგნით ოპერატულ-აგენტურული ოპერაციების დაფინანსება იყო. საბჭოთა საგარეო დაზვერვის ოფიციალური ვერსიით, 1925 წლის დეკემბერში, პარიზულ რესტორან „ლა რიუმი“-ში ითიშა გამართულა მეტად საინტერესო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ შვედი მილითერი ნიშელი, გერმანელი გენერალი მაქს პოემანი, დიდი ბრიტანეთის დაზვერვის თანამშრომელი გეორგ ბელი და ქართული ემიგრანტები: სიორიდორ კელია, შალვა ქარუმიძე (რომელიც რუსულ-საბჭოთა სექსამსახურების მტკიცებით 1925 წლიდან გერმანიის დაზვერვის აგენტი იყო) და ვასილ სადაით-ერაშვილი (ამ უკანასკნელს საბჭოთა და რუსეთის საგარეო დაზვერვა და მასთან დაახლოებული მწერალ-პუბლიცისტები მოიხსენიებენ როგორც გენერალ პოემანისა და გენერალ ბერმონტ-ავალოვი-ლის აგენტს). სწორედ ამ შეხვედრაზე გამოსთქმულა ვალბი ჩეროვნიკების და-

ბეჭდვის მოსახრება.

ვალბი ბანკოტების დაბეჭდვა უკვე 1926 წლის ზაფხულიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც ინიხის დასაწვისში ღონდონში გენერალ პოემანთან ერთად გაუმგზავრენ კავკასიის განთავისუფლების კომიტეტის ლიდერები სიორიდორ კელია და შალვა ქარუმიძე. მათ შეხვედრები ჰქონდათ დიდი ბრიტანეთის ოფიციალურ წრეებსა და წამყვან ბიზნესმენებთან (მაშინდელ ფინანსთა მინისტრ უინსტონ ჩერჩილთან, ნათიომბაგნატან, მილითერი ჰენრი დეტრინგთან და სხვ.).

რუსულ-საბჭოთა ოფიციალური ისტორიოგრაფია იუწყება, რომ ღონდონში გამართულ საიდუმლო შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საფინანსო-ეკონომიკური დივერსიების მოწყობა, საქართველოში ანტი-საბჭოთა აჯანყების ორგანიზება და მის დასაფინანსებლად ვალბი ჩეროვნიკების გაიყვანება, კავკასიაში არსებული ინგლისური კონცეიების ბედი და სხვ.

ვალბი ჩეროვნიკების დაბეჭდვისთან

დაკავშირებული ხარჯები, ძირითადად, თითრმა ემიგრანტებმა და ინგლისელმა რეაქციონერმა პოლიტიკოსებმა და ფინანსისტებმა გაიფარა, — ამტკიცებენ რუსულ-საბჭოთა არქივები. ამ საქმის მთავარი ორგანიზატორი შალვა ქარუმიძე ყოფილა, რომელსაც მიუსწვნენ შინაძენის ტიპოგრაფიაში დაუსწავა ჩეროვნიკების ბეჭდვა. დამცენიშნაინა სექციალური ქალაქი ბაკრის ქალაქის ფაბრიკიდან შეუქმნათა 10000 ფურცლის ოდენობით.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ვალბი ჩეროვნიკების დაბეჭდვით ფინანსური პრიზილმა არ შეჰქმნათა. გერმანიაში დაბეჭდილი ჩეროვნიკები იმდენად დაბალი ხარისხის იყო, რომ რაგათი საბჭოთა ფოსტის მოხუციები და მალაზის გამყიდველები ხელის ერთი შეხებით ამწყდენ სივალბეს. ამიტომაც ვალბი ჩეროვნიკები მასობრივად არ გავრცელებულა.

ვალბი ჩეროვნიკების პირველიე პარტია, რომლის შეტანაც საბჭოთა კავშირში რუსი ემიგრანტების საშუალებით სცადეს, ოკეპუს ხელში აღმოხდა. დაციხუების შემდეგ გამქვუნდა ემიგრაციის არალეგალური ვკუფის წერების ვინაობა, საიდუმლო შეხვედრების ბინების მისამართები, დაფინანსების წყაროები და ა.შ. დაპატიმრებული ანტი-საბჭოთა ვკუფის წერები (შილევი, ფელტონი, კარბაშვი, გათიი და სხვ.) 1930 წლის იანვარში დახვრიტეს.

ვაქტია, რომ ოკეპუს შემლო ჩეროვნიკების კვალს გაკვილიდა, ემიგრან-

„ლიბა“

სამკურნალო ბაიარტიანება



სამსოკათოლოგია

- ერეკციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე

მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39

ტები შემოერტყებინა, ანტისაბჭოთა არა-ლეგალური ჯგუფები გამოეყვინა და გაეხდურებინა. ეს სპეციპერაცია, ძირითადად, 1927 წლის დასაწყისში და 1928 წლის მთელ ნახევარში მოხდა. ამის შემდეგ ამოუშვედა საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა — გაიძარცა საჩვენებელი სასამართლო პროცესები, გაეკეთებინა აჭრებულნი იყო პატრიოტული სტატეგიითა და მოწოდებებით.

საბჭოთა შრომელთა კრებებზე გამოდნენ „სახიზნარ იმპერალისტებს“ (ჩერჩილს, ლეტერდინგს, ნობელს) და მათ დამქმამ ემიგრანტებს (სპირიდონ კლასს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს, შალვა ქარუმიძეს, ვასილ სადათიანოს, ასევე რუს მონარქისტებს: ვრანო ოროლოვ-დანილოვს, გენერალ ბერმონტ-ვალუოს). საყოფილო ფისიკოს პირობებში საბჭოთა იმპერიაში ვისდა ახსოვდა ფასების ზრდა, სურსათის დეფიციტი და უკვე დაწყებული პოლიტიკური რეპრესიები.

გააქტიურდა საბჭოთა დიპლომატიაც. გერმანიის ხელისუფლებას საქმის უსწრაფესი გამოძიება და ამ პროცესში საბჭოთა ჩეკისტების ჩართვა მოხსობოდა. გერმანია, რომელიც იმ წლებში ეკონომიკურად და პოლიტიკურად მნიშვნელოვან იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირზე, იძულებული გახდა, გამოძიებდა დაჩქირო, დააპატიმროს სადათიანო, შიშკოვი, გუკოვ ბული და სხვები. ქარუმიძემ მიმალვა შეძლო და შემდეგ შეეცადარას შვაფარა თავი. საპოლიციო უზანში რამდენიმე საათით დააკავს და შემდეგ გაათავისუფლებს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კლასი.

ბერლინიშ გამართულ სასამართლო პროცესზე ვაიკრეკა, რომ ამ საქმეში გარეული იყვნენ გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის ხელისუფლებას და სპეცსამსახურებს წარმოადგენდნენ, ამიტომაც სასამართლო პროცესი ერთ თვის გაგრძელდა. 1929 წლის თებერვლებში ბრალდებულების ნაწილი გააპრტილეს (ყალბი ფულის დაბეჭვვა მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული), ნაწილი კი აწინაბითით გაათავისუფლეს.

მოვლენების ამგვარი განვითარება საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებში ნაშეილად არ შეიძლება — მას მხოლოდ საერთაშორისო დონის სკანდალ სჭირდებოდა. ამიტომაც საბჭოთა პოლიტიკოში საგარეო დაზვერვისა და კომიტერინის ხელმძღვანელობას შკაცრი დირექტრები მისცა. ამის შემდეგ საქმეში ჩართვი ვრონის ქვეყნებში გაუხრებული საბჭოთა აგენტურა — ვურნალისტები, გამომცემლები, პოლიტიკოსები და ვინც იცის, კიდევ ვინ. ვანსაკოტობით აქტი-

ურობდა გერმანული კომუნისტების გახეობი „ორტე ფანე“.

მათ მერ ატეხილმა აპოტიკამ გერმანიის ხელისუფლებას აიძულა 1930 წლის ნაფხევში სასამართლო პროცესი განეხლებინა. ამჯერადაც ვასილ სადათიანოშილი განსახველის სკანე იხდა, ხილო შალვა ქარუმიძე კვლავ შეეცადარას აურებდა თავს. სასამართლო პროცესებზე მოიღობებოდა საბჭოთა აგენტურა — ვითიდა გერმანელი მუშები — სხილმებს არ აცდენდა. მათი აგრესიული ბით დავკოგვინდა, რომ სასამართლო ერთ-ერთ სხილმავ სადათიანოშვილს სასტიკად სცემეს. ამის შემდეგ ბრალდებულებს დაცვა დაუწინეს. სასამართლო შალვა ქარუმიძე დაუსწრებლად გაასამართლა და 2 წლითა და 4 თვით პატიმრობა მიუსაჯა, ვასილ სადათიანოშვილი კი ორი წლით თავისუფლების აცეკეთა, მაგრამ დარბახშივე გაათავისუფლებს, რადგან ეს პერიოდი წინასწარი გამოძიების პროცესში უკვე გასულიყო. დანარჩენ ბრალდებულებს ფულადი ჯარიმის გადახდა დაკისრეს.

ყალიბი ფული სპეცსამსახურების არსენალში

ყალიბი ფულის დაბეჭვდა და მტრის ტერიტორიაზე ფარული გავრცელება ოდითგანვე იყო სპეცსამსახურების სადღეული და ეფექტანი იარაღი.

ნაპოლეონ ბონაპარტიც ცნობილი „ყალიბისქმელი“ გახლდათ — მან საფრანგეთის მოაგრობაში შექმნა სპეციალური დაწესებულება, რომელიც 1806-1812 წლებში ფარულად ბეჭვდა და ვგსრულებდა. პრუსიულ, ინგლისურ და რუსულ ბანკიტებს. ამით ნაპოლეონი თან ამ ქვეყნების ფულად-საკრედიტო სისტემას არყვდა, თან ომსაც აფინანსებდა. ეკონომიკური ომის ამ მოთოდ შემდეგ წლებშიც ფართოდ იყვიებდნენ: აიანკოლი — რუსეთის, ხილო პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანია საფრანგეთისა და ინგლისის წინააღმდეგ ბოლოეფექტივტი დიონსტრუქტიული იყვნენ ყალიბი ფულის ბეჭვებაში.

20-იანი წლების ბოლოს შვი დღეები დაუდვა საბჭოთა კავშირს. მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა დალიბიტატორი ურთიერთობა გაქვიტეს მოსკოვთან, თან ეკონომიკური სანქციებიც დაუწესეს. საბჭოთა იმპერია უცხოური ვალუტის გარეშე დარბა და საზღვარგარეთ სურსათისა და მანქანა-დანაფარების შესახანი ფულიც კი არ ქონდა. საბჭოთა დაზვერვაც მტკიცურულად განიცდდა უცხოური ვალუტის ნაკლებობას.

ამ როულ ვითარებაში სტალინმა ქველი ისტორიებიც გაიხსენა და ყალიბი დილარების დაბეჭვდა და გასალეების

ოპერაციის ჩატრება საშხელო დაზვერვის ხელმძღვანელს, გენერალ ამ ბერზნს დაავალა. საბჭოთა მზვერველები რეალების შესრულებას შეუდგნენ დივრეც შემდგომ ამდინდა, ეკლბან კონტრების ბეჭვლის ტექნიკური მხარე უფრო ოილი იყო, ვიდრე მისი ფარული გასალეება. ვარშავა, ვენევა, ბუქარესტი, ბერლინი, ვენა, სოფია და ბელგრადი სბჭოთა კავშირში დაბეჭვლილი ყალიბი აქ დილარაციების გასალეების ცენტრებაც იქცნენ. ამ „ქალაქდის ომს“ საბჭოთა საშხელო დაზვერვის რეზიდენტები ხელმძღვანელობდნენ. კავშირები აშშ-დან ჩამტრბნილ სპეციალურ ქალაქულ იმეჭვლებოდა, ბეჭვლის ხარისხი ოდენეა მაღალი იყო, რომ სპეციალური აპარატურის გარეშე სყალიბის გამოლენა შეუძლებლი გახლდა.

ყალიბი ფულის გასალეების საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართული ავგლობრები კომუნისტური პარტიების ფარულ ქმნებები: გერმანიაში — ფრანც ფიშერი, ხილო აშშ-ში — გალტინ ბარტენი.

საბჭოთა დაზვერვამ სხვადასხვა ოპერატიული კომბინაციით და ავტრ პაულროტის მონაწილეობით შეძლო ბერლინში მდებარე 1848 წლის დაარსებული კომერციული ბანკის „სას და მარტინის“ შექმნა. ყალიბი დილარები შემდეგი სქემით თორდებოდა: ბანკიტები ჯერ გერმანიის „ლინე ბანკს“ ხვდებოდა, იქიდან კი აშშ-ში, ანშნულ სტი ბანკში“.

მთორ სქემა უკვე მოილანდ კრიმინალური იყო. ამერიკის სხვადასხვა ქალაქში (უთაერესად, ჩიკაგოში, ლის-ანჯელესში, ნიუ-იორკში და სხვ.) მოქმედა საბჭოთა საშხელო დაზვერვის ლეგალიური და არალეგალური რეზიდენტები უკავშირდებოდნენ სანდო შუამავლებს, რომლებიც თავის მხრე ფულის გათორბისთვის ავგლობრები ბანდირტრ დაჯგუფებებში ამყარდებულ კონტაქტს „ავტრეზომპერუნი“ შთანხმებით ფულადი ყალიბი ახი დილარდნად სამოცდაათი საბჭოთა მზარეს უნდა დაზვერებოდა.

1929-1934 წლებში საბჭოთა დაზვერვამ სხვადასხვა სქემით რამდენიმე ათეული მილიონი ყალიბი დილარა გაასალა. სტალინის ამოცანა შესრულდა და ბერბა საბჭოთა მზვერვამ ვადამდე წოდება, ფასიანი საჩქარები და დაწინაურება მიიღო. თუცა მათ არ იციდნენ, რომ „ხელმწიფოს“ წყალიბით თუ ყოთლადწყვნილა ძალზე საზიფათია — საბჭოთა საშხელო მზვერვათა უმრავლესობა 1937-1938 წლების დიდ რეპრესიებს ემსხვრებლა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მანის ალადავასილი

ექსპერტი ეროვნული
უსაფრთხოების საკითხებში, უმბრ-
როების გადადგარა პოლკოვნიკი

ზანკები აფხაზეთის ომში

გერბულა, დასწყისი იხ. „არსნალი“ №11-14, 2010

27 ივლისის სოჭის ხელშეკრულებამ სპარატისტებს დიდი სამსახური გაუწია — აფხაზეთიდან გავიდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ყველა შეიარაღებული ფორმირება და მიუღი ჯავშანტექნიკა, ხოლო ადგილობრივი მისაზღვრობისაგან ჩამოყალიბებული ქვედანაყოფების დიდი ნაწილი გაუქმდა-დაიშალა.

დაიშალა სოხუმის 23-ე ბრიგადა, რომლის შებრძოლა თაქვადეგა და გმირობა მოწინააღმდეგეს აფხაზეთის დედაქალაქის აღების სამუალებას არ აძლევდა.

ბრიგადის ჯავშანტექნიკისა და არტილერიის უდიდესი ნაწილი ფოთში გავიდა, ხოლო მთელი პირადი შემადგენლობა, დახლოებით 4 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დათხოვეს იმ იმედით, რომ მათი ნაწილი სამსახურს შინაგანი ჯარების სოხუმის მე-2 ბატალიონში დაიწვება.

მსუბუქი შეიარაღებით აღჭურვილი მსხანგა ჯარების 500-კაციანი ბატალიონის ჩამოყალიბება მართლაც დაიწყო და მოძველები მსხანგა ჯარების აფხაზურ პოლკში მისი გაერთიანება იყო დაგეგმილი.


გაუქმდა ოჩამჩირის 24-ე ბრიგადა, რითაც ტყვეარჩელის მიმართულება დაუქვლია დარჩა.

აფხაზეთში ყველა შეიარაღებული ფორმირება შეინარჩუნეს. გუმისთის ფორნტზე სრულ შხადროფინაში იყვნენ I და II ბრიგადები, ბაგრატიანის სახელობის ბატალიონი, ჩრდილოკავკასიელთა და კახაკია ფორმირებები. არ დაშლილა აფხაზთა სატანკო ბატალიონიც.

ასეთივე მდგომარეობა იყო ტყვეარჩელის მიმართულებაც, სადაც მოწინააღმდეგეების განკარგულებაში იყო ტყვეარჩელის პოლკი, სხვადასხვა ბატალიონი თუ შეიარაღებული ჯგუფი. ადგილზე დარჩა ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები თუ არტილერია.

თვალის ასახვევად აფხაზეთში ტექნიკა გუმისთის ხიდიდან ახალ ათონში გადაიტანეს და ქვეშეშების ჩამკეტები შესანახად რუსულ სამხედრო ნაწილებს ჩააბარეს.

რუსი პოლიტიკოსებისა და სამხედროების მოწინააღმდეგეობით და მუშაუბელი სოხუმის აღების გეგმის პირველი პუნქტი — ქართული



გაგრის ბატალიონის ტანკი 1993 წლის სექტემბრის პოლთის, მჭიბარკის ხიდიდან ირავკლი ოლიმპიეიდის ფოტოარქივიდან

ფორმირებების გაეყვანა-განიარაღება — სრულად შესრულდა.

განიარაღებულ ქართველებსა და შეიარაღებულ აფხაზებს შორის პროვოკაციებისა თუ ცეცხლის განახლების ცდილობათა აღსაკვეთად რუსული ე.წ. „ნოტრალური“ ძალები გუმისთის ხიდიდან, შრომაში, კოდარის ხიდიდან და სხვა ადგილებში განლაგდნენ.

დაიწყო მშვიდობიანი პერიოდი, რომელიც აფხაზეთში რუსული გეგმის შესასრულებლად მაქსიმალურად გამოიყენეს: სოხუმის თაქვ, გაბატონებულ სიმაღლეებზე პოზიციები შეინარჩუნეს, რუსმა და ქართველმა გამანადგურებელმა გუმისთის ხიდიდან ტანკსაწინააღმდეგო ნაღები მოხსნეს და გზა გახსნეს, დაიწყო ძალების გადაადგილება-გადაჯგუფება, შეფესო საბრძოლო სამუალებათა მა-

აფხაზეთა იმპროვიზებული ტანკსაწინააღმდეგო საშუალება — ურიკაზე დამონტაჟებული CNF-9




რავი და სხე.

სამხრეთში საკონტროლო კომისიამ მოწინააღმდეგის ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევის არა ერთი შემთხვევა გამოავლინა. მაგალითად, 13 სექტემბერს ზემო ემურის მახლობლად „ვრადის“ ორი დანადგარი 80 გასრულით მომზადებული ამოწმდა, შემოვლინდა საარტილერიო სისტემებისთვის წინასწარ მომზადებული პოზიციები და ა.შ.

სამხედრო უპირატესობის მისაღწევად საქართველოს ხელისუფლებასთან მიღწეულ შეთანხმებათა ამა თუ იმ მიზეზით დარღვევა სპარატისტთა მოქმედების აპრობირებული ფორმა იყო, ხოლო წარსულის გაკეთილები ეჭვის საფუძველს 1993 წლის შემოდგომაზე იძლეოდა.

თავის დაზღვევის მიზნით სოხუმებში 23-ე ბრიგადის ჯავშანტექნიკის ნაწილი დაიტოვეს. ბრიგადის VI სატანკო ბატალიონის 16 ტანკიდან 10 ფოთში გაიგზავნა, ხოლო 6 ტანკი (№605, 608, 610, 613, 614, მუქვექ ტანკის ნომერი უცნობია), თითო-თითო A I I-I და A DI ადგილზე დატოვეს.

2 ტანკი სოფელ წებულაში, 2 — სოფელ განახლებაში და 2 — აეროპორტის მახლობლად, სოფელ ფშაფში, ითვის ზეინში იყო დამალული. საკონტროლო კომისიამ მუხლუხების ნაკვეთი ერთ ტანკს განახლებაში მიაგწი და ფოთში გაგზავნა. ვარდა ამისა, ადგილზე დარჩა 234-ე



ვაზაკოა ფორმირებების БМП-1 და БРДМ-2 სოხუმის ქუჩებში

გაგრის ბატალიონის ერთადერთი ტანკი №333.

23-ე ბრიგადის VI სატანკო ბატალიონის ასმქითაურის მრავალეული უფროსი ლეიტენანტი ზურაბ კვიციანი: „15 სექტემბერს გუმისთავზე საავტომობილო ხიდიან პოსტზე ვიდექი, როცა რუსი სამხედროებიც დატვირთული ორი სატვირთო „ურალი“ და ერთი А1А მოგვადგა. კოლონა შეუჩერეთ ისინი ოჩაშირინიდან მოდიოდნენ, მათ შორის 4 აფხაზი იყო. შემდგომ სარდლობასთან სამხედროების გამოვება-არგამოების საქითის გარკვევისას ერთ-ერთი აფხაზმა, ვინმე ბარცეცმა, მიხვდა, სოხუმში მისი ახლობლებისათვის გადაძეცა, რომ იმავე დღეს 18 საათამდე ხიდიან აუცილებლად მისულიყვნენ.“

როგორც გავიგე, ასეთვე თხრობით აფხაზებს სხვა საგუშაგოებზეც მიუძარათო.“

15-16 სექტემბერს, ღამით, ტყვარჩელის დაჯგუფების დაბოლო ტყვეობის გავლით სოხუმი-ოჩაშირის დამაკავშირებელი გზის გასწვრივ გავიდნენ და მთელიღნელი დარტყმებით ახალდაბა, კინდლი, ტაშიში, ანკარუსი სიმაღლეები დაიკავეს. მოწინააღმდეგის ხელში უბრძოლველად გადავიდა ყველა ის პირიცა, რომლის შეჩარხუნება-გათავისუფლებას ფელისის ბრძოლებში უამრავი მებრძოლი შეეცინა.

კოდრის ხიდზე ე.წ. რუსულმა ნეიტრალურმა სამსჯილობის ძალებმა აფხაზებს არაო შეჩერეს, პირიქით, თვითნათი საცეცხლე საშუალებები ქართული ფორმირებებისგან მიძარათეს.

ტანკი №605 და АДИ მებრძოლების თანხლებით კოდრის ხიდსაცენ გაეგზავნა, მაგრამ რუსი სამხედროების საცეცხლე მხარდაჭერის წყალობით აფხაზების მახლობლების საშუალებას არ აძლევდნენ. №605 კოდრის ხიდის რაიონში 29 სექტემბრამდე დარჩა. შემდეგ ოკუპანტის გავლით წამოვიდა, მაგრამ მდინარეში ჩაურდა და ეკიპაჟს ააყუიქა.

ეკიპაჟი და მებრძოლია ჯგუფი სანაპიროს გასწვრივ ფეხით ახალ კინდლში გადავიდნენ, სადაც ქობალას დაჯგუფებაში შემავალ ლაკიას რაზმს შეტდნენ.

აფხაზებმა 16 სექტემბერს 11.30-12.00 საათებს შორის შეტყვე გუმისთის ორევე და აჭნადრის ხიდებისაგენ დააწყვეს.

განადმული გუმისთის ხიდი აფხაზების 3-მა ქვეითთა საბრძოლო მანქანამ გამოიარა და წამოვიდა VI სატანკო ბატალიონის საველე შტაბისაგენ, რომელიც წინა ხაზიდან დაახლოებით 500 მეტრში მდებარეობდა.

აფხაზთა ქველანაყოფები ტანკებთან საბრძოლველად კარგად მომზადებული იყვნენ. მათ არსენალში უამრავი სხვადასხვა სახის ხელისა და დაზების, უპართავი და მართავი ტანკსაწინააღმდეგეო საშუალება იყო.

ტანკსაწინააღმდეგეო გათილები ნახაფრებებიდან მოქმედდნენ და მობრძოლობის ასამაღლებლად ტანკსაწინააღმდეგეო საშუალებებს (NIA-ს, IOD-ს) ხელის სატვირთო ურთქებით დაატარებდნენ.

დაზინაებთა მეტი წილი ტანკსაწინააღმდეგეო მართავი სარაკეტო კომპლექსი 9E111 ობაინზე მოიხს, რომლის გამოყენებაც წინასწარ მომზადებასა და ოსტატობასაც მოითხოვს.

17-18 სექტემბერს VI ბატალიონის შტაბის მახლობლად მდინარე ბრძოლის მოწინააღმდეგეო „ფეგობტმა“ ორი ტანკი დაზინა. სახელისწილი ერთის კომპურის მეთრის კონაზუსზე დაეყრებოთ ერთ-ერთი ტანკის გამართვა მოხერხდა და ის ბრძოლაში ჩაება.

გაგრის ბატალიონის ტანკი №333 (ზურაბ მამუნაშვილი, გელა ფარქოსაძე) და ნუგზარ მთლარეაძე ბოლის გუქუს ქუჩაზე იბრძოდა, სადაც ქვეითებს საცეცხლე მხარდაჭერას უწყვედა.

ნასაერობდან ნასრიალმა „ფეგობტა“ ტანკი მწიობრიდან გამოვიყვანა, ხოლო ეკიპაჟსე დღემდე არაკურთა ცნობილი.

ქუჩის ბრძოლებში რიგით მეთრე ტანკიც დაიკარგა, მაგრამ მისი მწიობრიდან გამოიყვანის მიხეზის დადგენა ვერ მოხერხდა.

ტანკების გამოყენება მოწინააღმდეგემაც სცადა. 18 სექტემბერს სოფელ თვისიფულეხასთან, ტელავიძის მახლობლად, ტანკ №04 „მუსტანგს“ რაც ტანკსაწინააღმდეგეო მართავი დარტყვა შემოიან მიხვდა, ხელი შეუძლერ ბორტის მოხვედრით ვეუმბარსატვირცინისა და ტანკის ჭურჭვმას ბოლი მოუღეს.

აფხაზების „მუსტანგი“ აფიქოდა და ოთხკაციანი ეკიპაჟი დაიღუბა.

შეზღუდული რესურსებითა და შეზღუდული სივრცეში, სადაც მოწინააღმდეგე დიდ უპირატეობას ფლობდა, ჯგუშნტეკიას სრულყოფილად გამოყენებაზე ლაპარაკი შედუმტა. მიუხედავად ამისა, 6 ქართული ტანკი იბრძოდა მესადაც ამის საჭიროება ვეულოა მეტად იყო და ძირითადი სამისზე გამავრბულ პუნქტებში საცეცხლე წირტლეების განადგურება იყო.

ტანკების ზუსტმა ცეცხლმა მტერს დიდი ზინი მიაყენა და სოხუმის რამდენიმე საათში ადგის ოღუნი დაუწყებია. ბრძოლაში რომ 27 სექტემბრამდე გასტანა, ამში არცოე მიეცე და მსახურება ტანკისტებსაც მოუღეოთ.

23-ე ბრიგადის VI ბატალიონის ორი ტანკი აფხაზების სკეითისაგენ წამოვიდა. ერთ-ერთი ვეირაბების რაიონის დრჩა და 1993 წლის სექტემბერში აფხაზთა მწიობრის დროს აფიქოდა.

ტანკი №608 ეკიპაჟსა (ზურაბ კვიციანი, ვლადიმერ კოკოსაშვილი, ანდრე დევიდოროვი, კონსტანტინე სტაფიევი) საიყვე ჩხაბთამდე ავიდა და იქ მდინარეში ჩაურდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თეიმურაზ ჩაჩაბანიძე

შურადღეობა!
საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ტანკისტებს ვთხოვ გამოვგებოთ და მოგვეწოდონ მათთვის ცნობილი ფაქტები, დეტალები, ტექსტური და ფოტო მასალა.

50-იან წლებში აშშ-ისა და საბჭოთა კავშირში ლოკალური ომების სანარმოებლად ატომური არტილერია იქმნებოდა...

ნუგაის შტატის პლატონე, ექვ, სადაც ადრე პირველი ატომური ბომბების გამოცდა მიმდინარეობდა, 1953 წლის მაისში უცნაური ქვეშეხი მთავორეს. ეს უზარმაზარი იარაღი პირველი მსოფლიო ომისდროინდელ ზარბაზნის პეკედა. 25 მაისს გაისმა სროლის ხმა და 25 წმის შემდეგ არქიმურ გაანათა თვალის მიმჭრელმა ნათება, რომელმაც უდაბნოს კამკამს მზე დაწრილა, რამდენიმე წმის შემდეგ კი პორიზონტზე აღმართა უზარმაზარი სოკოსებური ღრუბელი, — კაცობრიობის ისტორიაში პირველი ატომური ჭურვი ქვეშეხით ისროლეს.

ატომური არტილერიის ისტორია ერთი წლით ადრე, 1952 წელს დაიწყო, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცდების ჩატარება დაიწყო ატომურ ჭურვსა და ქვეშეხე, რომლითაც ეს ატომური (ბირთვული) ჭურვი უნდა გაესროლა. საარტილერიო ატომური ჭურვი W-9-ის სიმძლავრე 15 კილოტონა უნდა ყოფილიყო. დამზადებული იყო ურანის ისოტოპი მუხტზე, რომელიც გამოიყენებოდა ატომურ ბომბში, რომელიც პორისმაში ააფეთქეს (MK-1 „მატარა“). დამზადდა 20-ამდე ასეთი ტიპის მუხტი, რომელთაგან მხოლოდ ერთი გამოიყენეს საცდელი გასროლის დროს.

შემდეგ მუშაობა გაგრძელდა მოდიფიცირებულ ჭურვზე W-19, რომლის სიმძლავრე 37 კილოტონას შეადგენდა.

ბირთვული საარტილერიო სისტემა სარბიო საარტილერიო ქვეყნაყოფებს იარაღი უნდა ყოფილიყო და ის ინტეგრირებულ იქნა არმიის სამხედრო ტექნიკაში. ამ ქვეყნაყოფების შეიარაღებაში იყო ატომური ქვეშეხი და საბოცეხი, აგრეთვე მცირე სიმძლავრის ატომური მუხტების გადამტანი რაკეტები. ატომურ საარტილერიო ჭურვს აქვს შესწორული სიმძლავრის მუხტი, რადგან ის საარტილერიო სისტემაში უნდა მოიყვანეს. ჩვენს დროში ასეთი ჭურვები მუშაობდა არსებული საარტილერიო სისტემების კალბრებით. ყველაზე დიდი კალიბრი შეესაბამება რუსულ 420-მილიმეტრიან ნამშლავტორს.

ამ წლებში აშშ-ის მთავრობამ შეიმუშავა ახალი სამხედრო დოქტრინა, რომლის თანახმადაც, დიდი დამანგრეველი ძალის მქონე სტრატეგიულ ატომურ იარაღს ერთად საჭირო იყო მცირე

ქვეყნილი გასროლილი „პირსილა“ ...



ატომური არტილერია, ატომური ნაღმები და ატომური ფუგასები ლოკალური ომებისათვის

სიმძლავრის ატომური იარაღიც, რომელსაც ფრინტის ხაზზე გამოიყენებდნენ.

ეს იმით იყო განპირობებული, რომ სტრატეგიული ბომბდამშენები, რომლებსაც დიდი სიმძლავრის ატომური ბომბები გადააკონდათ, ნაკლებად ეყუქტიანი იყო მტრის ჯარების მოწინავე პოზიციებზე, ფრინტის ხაზზე მოქმედებისათვის. ატომური მუხტის ზომების მნიშვნელოვანი შემცირების შემთხვევაში შეიძლება მათი გამოყენება რაკეტოული გამანადგურებელ-ბომბდამშენების საშუალებით, მაგრამ ესეც არაა ეყუქტიანი იყო, რადგან მათი გამოყენება დამოკიდებული იყო ამხნაზე დელემაზე დროსა და მოწინააღმდეგის პაერსაწინააღმდეგე ოვდაცვის საშუალებების რაოდენობაზე. ასეთ პირობებში, ამერიკელი გენერლების აზრით უკეთესი იყო მცირე სიმძლავრის კომპაქტური ატომური ჭურვების გამოყენება ფრინტის ხაზზე სპეციალურად ამ მხნისათვის შექმნილი ქვეშეხების საშუალებით მცირე მუხტის ატომური ჭურვები უნდა გადაეცათ საარტილერიო ბატალიონებისათვის, რომლებიც მას გამოიყენებდნენ ფრინტზე შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად.

40-იანი წლების ბოლოს აშშ-ში დაიწყო უზარმაზარი ატომური ქვეშეხის

დაპროექტება, რომელიც 1952 წელს შეიარაღებაში მიიღეს. ეს 280-მილიმეტრიანი ქვეშეხი T-131 ნახევრად სტაციონარული დანადგარი იყო. საბრძოლო მდგომარეობაში იწონდა 42,6 ტონას, გადაადგილებისას კი — 75,5 ტონას; ისროდა ატომურ ჭურვს, რომლის სიმძლავრე 15 კილოტონა იყო (პიროსიმაში ჩამოგდებული ბომბის სიმძლავრის 3/4). ამ ტიპის ქვეშეხები ჩამოიტანეს ევროპაში და აშშ-ის არმიის შენარეობში განალაგეს.

საბჭოთა კავშირი ოციციალურად მოხდა ლოკალური ატომური ომების დოქტრინას, რადგანაც ამ ქვეშეხის ხელმძღვანელობის აზრით, შეუძლებელი იყო ლოკალური ატომური კონფლიქტი არ გაგანზრდილიყო დიდ ატომურ კატასტროფაში.

ასეთი იარაღის შექმნა საბჭოთა კავშირშიც მიმდინარეობდა საიდუმლოდ. 1954 წელს აქ დაიწყო გიგანტური თვითმგალი იარაღის დაპროექტება, რომელსაც ატომური ჭურვები უნდა გაესროლა. ერთი წლის შემდეგ ლენინგრადის №34 ცენტრალურ საკონსტრუქტორო ბიუროში (LK6-34) შეიმუშავეს ნახაზები და დოკუმენტაცია CM-54 (2A3) 406-მილიმეტრიანი ქვეშეხე, რომელიც ისროდა ატომურ ჭურვებს და მათი წონა 570



კილოგრამს შეადგენდა, სროლის მაქსიმალური მანძილი კი 25,6 კილომეტრი იყო. ამ სისტემას „კონდენსატორი“ ერქვა. ამ მონსტრის მშენებლობა ქარხანა „ბარისკა“ (კიოეუს ქარხანამ დაამზადა, მისი საუბო ნაწილი, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ობიექტი 271“) დაეკავა. პირველი დანადგარი CM-54 კიოეუს ქარხნიდან 1957 წელს გამოვიდა. მისი წონა 64 ტონა იყო. სულ ოთხი ერთეული ასეთი იარაღი დაამზადდა.

ერთდროულად, სხვა საკონსტრუქტორ ბიუროში, დააბრუნებულ გლეხულუნიანი 420-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცი 262 „ოკა“, მისი ლულის სიგრძე 20 მ-ს შეადგენდა. საუბო ნაწილი ასევე ლენინგრადის კიოეუს ქარხანამ დაამზადა, სახელწოდება „ობიექტი 273“. დანადგარს წონა 55,3 ტონა იყო. მას „ტრანსფორმატორი“ უწოდებდნენ. სპეციალური გასროლის სიშორე 45 კილომეტრს შეადგენდა.

„კონდენსატორის“ და „ტრანსფორმატორის“, ამ გიგანტური იარაღის, გადაადგილება შეუძლებელი იყო ხიდებზე, მაღალი ძაბვის ხაზებზე, რკინიგზით და სხვა, ამიტომაც გადაწყდა, არ გამოეყენებინათ ამ ტიპის საარტილერიო იარაღი.

ამავე დროს ცნობილი რუსი კონსტრუქტორი ვასილი გრაბინი №58 ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ЦНИИ-58) მუშაობდა 420-მილიმეტრიანი ქვემტ C-103-ზე, რომელიც მძიმე ტანკის მსებზე იყო დამონტაჟებული. მას ლენინგრადის ახლოს, რვეკის პოლიგონზე ცდიდნენ, მაგრამ 101 გასროლის შემდეგ ლულა გასკდა და მთელი დანადგარი განადგურდა.

საბჭოთა სამხედრო ინჟინერებმა ვერ შექმნეს კომპაქტური ატომური მუხტი, ამიტომ დაბრუნებული ატომური საარტილერიო დანადგარი მეტიმეტრად მსხველკალიბრანი იყო.

50-იანი წლების ბოლოს ამერიკელმა მეცნიერებმა მოახერხეს მნიშვნელოვნად შეუმცირებინათ საარტილერიო ატომური ჭურვების წონა და გააბრტყ-

ული ზომები, რის შედეგადაც შეიარაღებაში მიღეს 203-მილიმეტრიანი ჭურვი M-422. ატომური მუხტით W-33, რომლის სიმძლავრე სულ 2 კილოტონა იყო. ეს ჭურვი სტანდარტული ქვემტ M-110-ისათვის იყო განკუთვნილი. შემდგომში (1963 წელს) აშშ-ში შეიქმნა ჭურვის უფრო მცირე სიმძლავრის (0,08 კილოტონა) ატომური მუხტით W-48. იგი სულ 58 კილოგრამს იწონდა და განკუთვნილი იყო სტანდარტული M109, M198 და M123A1 ქვემტებისათვის, რომელთა კალიბრი 155 მილიმეტრს შეადგენდა.

საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს მცირე კალიბრის ატომური ჭურვების შექმნის საქმეში, რომელთა გამოყენება სტანდარტული საარტილერიო იარაღით იქნებოდა შესაძლებელი. მხოლოდ 1964 წელს დაიწყო 3FB4 ტიპის 240-მილიმეტრიანი ნაღმების დაბრუნება, რომლის სროლის სიშორე 9,5 კილომეტრს შეადგენდა. ისინი განკუთვნილი იყო 240-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცისათვის, რომელიც თვითმავალ დანადგარ „ტულპანზე“ იყო დამონტაჟებული. შემდეგ შეიქმნა 203-მილიმეტრიანი ჭურვი 3FB2, რომელიც B-4M ტიპის ქვემტისათვის იყო განკუთვნილი. მისი სროლის სიშორე 18 კილომეტრს შეადგენდა.

ოდნე მოგვიანებით დააბრუნებეს 152-მილიმეტრიანი ჭურვი 3FB3 152-მილიმეტრიანი კალიბრის ქვემტისათვის, რომლის სროლის სიშორეც 17,4 კილომეტრით იქნებოდა. იგი „აკაციის“ ტიპის თვითმავალ სისტემაზე უნდა დაემონტაჟებინათ.

ატომური არტილერიის მომსახურე სამხედროები სპეციალურ დამცავ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი და სროლის შემდეგ სპეციალურად მოწყობილ სანგრებში იმალავდნენ.

ამგვარად აშშ-სა და საბჭოთა კავშირში 60-იან წლებში მიღწეულ იქნა ატომური ჭურვების ისეთი მცირე გაბარტყ-



ამერიკული გადართვანი ბირთვული ნაღმი SAMM

ბი, რომელთა გამოყენება ჩვეულებრივი სტანდარტული იარაღითაც შეიძლებოდა.

თავიდან საბჭოთა კავშირი აშშ-ს ძლიერ ჩამორჩებოდა ატომური ჭურვების წარმოებაში. პირველი ბირთვული ჭურვი 3FB3 შეიარაღებია მხოლოდ 1965 წელს მიიღეს და დღესაც რუსეთის არმიის შეიარაღებაშია. ამ დროისათვის აშშ-ს უკვე ჰქონდა ფართო ნომენკლატურის სხვადასხვა სიმძლავრის ბირთვულ საარტილერიო სისტემებს. საბჭოთა კავშირის ჩამორჩენის მიზეზი კიდევ ის იყო, რომ საბჭოთა გენერლები უპირატესობას რაკეტების გამოყენებას ანიჭებდნენ და სპეციალიზებული ბირთვული ბირთვული ნაკლებპრესურული მძიმე მანქანა გარდა ამისა, უნთიციერებულ ჭურვების შექმნა, რომელთა გამოყენება უკვე არსებულ საარტილერიო დანადგარებზე იქნებოდა შესაძლებელი. დამატებით ხარჯსა და ორიგინალურ გადაწყვეტილებებს მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, დღეს რუსეთის არმიის შეიარაღებაში დამონტაჟებული ტიპის ბირთვული ჭურვი რამდენიმე იარაღშია.

შეიძლება ვიარინოვსკი სწორედ საარტილერიო ბირთვულ ჭურვებს გულისხმობდა, როდესაც საქართველოს „აკატარა ატომური ბომბის შექმნით“ დაბოძებს პპირეზობა.

ამჟამად რუსეთის შეიარაღებაშია შემდეგი ბირთვული საარტილერიო სისტემები:

— 152 მმ-იანი ბირთვული ჭურვი 3FB3, თვითმავალი საარტილერიო დანადგარისათვის 2C-19 „მტა-ს“, 2C3 „აკაცა“ და ბუქსირებადი D-20-ისთვის. ბირთვული მუხტის სიმძლავრე 1 კილოტონა ტრიტონის ეკვივალენტის ტოლია, სროლის სიშორე 17,4 კმ. შეუმუყველია აკადემიკოს ე.ა. ზაბაჩინის სახელობის



სამხედრო-საკვლე ინსტიტუტში ქალაქ სენეხისკო.

— 180 მმ-იანი ჭურვი 35B1, 180-მილიმეტრიანი C-23 ქვემუხისათვის, MK-3-180 (სანაპირო არტილერიისათვის, ადრე სამხედრო ფლოტს ეკუთვნის). სროლის სიშორე 45 კილომეტრამდე.

— 203 მმ-იანი ჭურვი 35B2 თვითმავალი საარტილერიო დანადგარისათვის 2C7 „პოინი“ და 203-მილიმეტრიანი პაუბიცისათვის B-4M, სროლის სიშორე 18-დან 30 კილომეტრამდე.

— 240 მმ-იანი ნაღები 35B34 ბუქსირებადი ნაღმსატყორცებისათვის M-240 და თვითმავალი სისტემისათვის 2C-4 „ტრულანინი“. სროლის სიშორე ჩვეულებრივი შესრულებით 9,5 კმ, აქტიურ-რეაქტიული ჭურვებით — 18 კმ.

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ბირთვული საარტილერიო ჭურვები:

— M454, 155 მმ-იანი ჭურვი, ბირთვული მუხტის სიძლიერე 0,8 კტ ტროტილის ეკვივალენტით, დღეისათვის შეიარაღებიდან ამოღებულია.

— XM-785 155 მმ-იანი აქტიურ-რეაქტიული ბირთვული ჭურვი, ბირთვული მუხტის სიძლიერე 1,5 კტ ტროტილის ეკვივალენტით.

— M422 203, 2 მმ-იანი ჭურვი, ბირთვული მუხტის სიძლიერე 2 კტ ტროტილის ეკვივალენტით.

— M753 203, 2 მმ-იანი აქტიურ-რეაქტიული ბირთვული მუხტით ბირთვული მუხტის სიძლიერე 1 კტ (ნეიტრონული ჭურვი საწყისი რადაიაციის გაძლიერებული გამოხვლით) და 2,2 კტ სიძლიერის ბირთვული მუხტის ტროტილის ეკვივალენტით.

აშშ-ის გარდა, ბირთვული ჭურვების მსროლელი საარტილერიო სისტემები დღეს ბელგიის, იტალიის, კანადის, საბურთელოს, გერმანიის, ნიდერლანდების, თურქეთისა და NATO-ს სხვა ქვეყნების შეიარაღებამაც არის.

გარდა ბირთვული ჭურვებისა, შემუშავებულ იქნა სხვა მცირე სიძლიერის ატომური იარაღიც.

ცივი ომის დროს NATO-მ წამოაყენა წინადადება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრის გასწვრივ და თვითონ ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილიყო ე.წ. ბირთულ-ნაღმური სარტყელი. ატომური ნაღმები უნდა განლაგებულიყო სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებთან, სადაც შეიძლება გაველით შეტევებზე გადასულ საბჭოთა ჯარებს — მსხვილ ავტომატისტრალეობთან, ხიდებთან (მოთავსებული უნდა ყოფილიყო სპეციალურად აგებული ბეტონის ჭებში) და ა.შ.

ფარაუდებოდა, რომ რაიონში განლაგებული ნაღმების ერთდროული აფეთქება შექმნიდა ძლიერ რადიაციულ ზონას, რომლის გადალახვას საბჭოთა ჯარები რამდენიმე დღით შეაჩერებდნენ. დღეისათვის ბირთვული ნაღმების გამოყენება არაფექტიურად არის მიჩნეული.

ბირთულ-ნაღმური წინაღობის იდეა აისახა ლიტერატურაშიც, კერძოდ ა. და ბ. სტრუვაკეცების სამეცნიერო-ფანტასტიკურ რომანში „დასახლებული კუნძული“ და ამ რომანის მიხედვით გადაღებულ ფ. ზინდარჟუკის ფილმში „დასახლებული კუნძული“. შერეკინება“.

„ცივი ომის“ პერიოდში იქმნებოდა სპეციალური ბირთვული ფუგასები, რომელთა გადატანა ერთ კაცსაც შეუძლია. ასეთი მიწვიობილობები შემუშავე-

ბულ იქნა როგორც აშშ-ში, ისე საბჭოთა კავშირში, მაგრამ არასოდეს გამოყენებიათ.

